



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №233/17

-- -- 2017 წლის 22 დეკემბრის №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №233/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- უნდა მიეღო -- -- განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ.

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე -- -- უკანონოდ დაუდგინა ხარვეზი, მოსამართლეს უნდა მიეღო წარმოებაში -- -- განცხადება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში შესული კორესპონდენცია ვერ შეავსებდა ხარვეზს მოსამართლეს უნდა გაეგრძელებინა ხარვეზის შევსების ვადა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 18 ოქტომბერს -- -- წარმომადგენელმა -- -- განცხადებით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას -- -- მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ -- -- -- უარი უთხრა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების მიღებაზე, სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

2017 წლის 22 დეკემბერს -- -- კერძო საჩივრით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 11 დეკემბერს მიღებული განჩინების ბათილად ცნობა.

-- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 2 მარტის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- -- სააპელაციო სასამართლოს.

2.2. 2017 წლის 14 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა -- -- კვლავ განცხადებით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას -- -- მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

2017 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, -- -- უარი ეთქვა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების მიღებაზე.

2017 წლის 22 დეკემბერს -- -- კერძო საჩივრით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა 2017 წლის 19 დეკემბერს მიღებული განჩინების ბათილად ცნობა.

-- -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- -- სააპელაციო სასამართლოს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ

ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება არ აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას არსებული ხარვეზის თაობაზე და განმცხადებელს გამოსასწორებლად აძლევს 5 სამუშაო დღის ვადას. თუ განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში გამოასწორებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და მას განმცხადებელს დაუბრუნებს.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 3 თვის განმავლობაში გადახდისუუნარობის საქმის აღძვრა იმავე განმცხადებლის მიერ, იმავე სუბიექტის მიმართ, იმავე საფუძველით დაუშვებელია.

საგულისხმოა, რომ პირველ შემთხვევაში განმცხადებელს -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრისა და 2017 წლის 17 ნოემბრის განჩინებებით ორჯერ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, რომელიც არ იქნა შევსებული და მხოლოდ მას შემდეგ ეთქვა უარი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე. მეორე შემთხვევაში კი -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 11 დეკემბერს მიღებული განჩინებიდან გაკოტრების საქმის წარმოებაზე უარის თქმის შესახებ გასული იყო მხოლოდ 4 დღე, საქმის მასალებიდან კი დადგინდა, რომ განცხადება აღძრული იყო იმავე განმცხადებლის მიერ, იმავე სუბიექტის მიმართ, იმავე საფუძველით რაც პირველ განცხადებაში იყო წარმოდგენილი.

ამდენად, ერთის მხრივ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილი იყო შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უარი ეთქვა გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების მიღებაზე.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მოსამართლე -- --, შესაბამისი განჩინებების მიღებისას, კერძოდ, გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმისას, მოქმედებდა კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მეხუთე პუნქტითა და „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №233/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმალესი საბჭოს მდივანი**